Anaklia
Development Consortium

6, MARJANISHVILI STREET, TBILISI, 0102, GEORGIA;
TEL: (995.32) 2.95 99.10; **MAIL:** info@anakliadevelopment.ge

#308-100/2018

30 ნოემბერი, 2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბ-ნ ლევან დავითაშვილს
მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6, თბილისი 0159, საქართველო

საგანი: ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში სკოპინგის დასკვნის გაცემა

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობასთან 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე (შემდგომში „**საინვესტიციო ხელშეკრულება**"), შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი" (შემდგომში „**კომპანია**") სოფელ ანაკლიაში ახორციელებს შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის პროექტს.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ 2017 წლის 27 ოქტომბერს გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N77 ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

გაცნობებთ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის მშენებლობისა და ოპტიმიზაციის ფარგლებში, კომპანია გეგმავს ნავსადგურის პირველი ფაზის არსებულ ტერიტორიაზე მშრალი, ნაყარი ტვირთების ტერმინალის დამატებას და საინვესტიციო ხელშეკრულებით გამოყოფილი საინვესტიციო ტერიტორიის ფარგლებში საქმიანობის განხორციელებას.

აღნიშნულ საკითხზე თქვენი 2018 წლის 26 ოქტომბრის N9394/01 წერილის პასუხად, გიგზავნით განახლებულ სკოპინგის ანგარიშს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ კომპანიის წინამდებარე სკოპინგის განცხადება და თანდართული სკოპინგის ანგარიში და გასცეთ სკოპინგის დასკვნა ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პირველი ფაზის ფარგლებში დაგეგმილ საქმიანობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 15376
03" 12 2018
2

პატივისცემით,

ლევან ახვლედიანი

შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“
გენერალური დირექტორი

<u>**დანართები**</u>:

1. სკოპინგის ანგარიში მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით;
2. სკოპინგის ანგარიში ელექტრონული ფორმით; და
3. საქმიანობის განხორციელების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) კოორდინატები შეიპ (Shape) ფაილის სახით.